

საპატრიარქოს წყებანი



საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირული
გამოცემა

№ 36
906

6-12 დეკემბერი 2018 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან
ფასი 70 თეთრი



„კანთანასა“ — ყოველთა დედოფალი

„გარეშეზღუდე ყოველთა განსაჯდელთაგან სამწყსო შენი,
მარადის მხმოშელი შემწეობისა შენისადმი“

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოკვლევები



ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესახებ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფილოსოფიური აზროვნება ქრისტიანული ფილოსოფია გახლდათ. ის სააზროვნო ტოპოსები, რომელთაც ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედება ეფუძნებოდა, მეტწილად, სწორედ ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან საზრდოობდა. ფრიად სამწუხარო ფაქტია, რომ ქართული ფილოსოფიური ტრადიცია ამ კუთხით ნაკლებად გახლავთ შესწავლილი. მკითხველთა ფართო წრე თითქმის არ იცნობს იმ ავტორებს, რომელთა ნააზრევიც თავის კუთვნილ ადგილს იკავებს ქრისტიანული ფილოსოფიის მსოფლიო საგანძურში და ქართული ფილოსოფიის მთავარ მიმართულებად ქრისტიანულ ფილოსოფიას განსაზღვრავს.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი და კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის კვლევითი არქივი სწორედ ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის დამუშავებას, კვლევასა და აღორძინებას ისახავს მიზნად. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამ არქივის მიერ გამოცემული წიგნების სერია „ფილოსოფია და თეოლოგია საქართველოში“, რომელშიც ერთიანდება სხვადასხვა დროის ქართული ფილოსოფიის თანამედროვე მნიშვნელოვანი კვლევები.

„ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები“ (კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი: პროფ. თენგიზ ირემაძე, თბილისი: „ფაგორიტი სტილი“, 2014 წ.) ამ სერიის პირველ პუბლიკაციას წარმოადგენს. პროფ. ირემაძის რედაქტორობით გამოსული წიგნი მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს ქართული ფილოსოფიის კვლევის საქმეში. კრებულში მრავალი ისეთი მოაზროვნის მემკვიდრეობაა განხილული, რომელიც ჟამთა სიავის

გამო ქართულ საზოგადოებაში თითქმის სრულე-ბით მივიწყებული იყო. ალექსანდრე ამილახვარი, დავით და იოანე ბაგრატიონები, იაგორ ჭილაშვილი და სხვანი სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნებიან. კრებულში წარმოდგენილია ასევე დავით გურამიშვილის, სოლომონ დოდაშვილის, იონა ხელაშვილის, ანტონ ბაგრატიონის შესახებ კვლევები. კრებულში ასახულია ახალი დროის ქართული ფილოსოფიის თავისებურებანი, პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები საქართველოში და ევროპული აზროვნების გავლენა ამ პერიოდის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე. ინტერკულტურული ფილოსოფიის ქრილში კი განხილულია კავკასიური ფილოსოფიის შესახებ ახალი კონცეფცია, რომლის დამუშავება აქტიურად მიმდინარეობს ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით არქივში (თ. ირემაძე, ლ. ზაქარაძე, მ. გოგატიშვილი, გ. ხუროშვილი და სხვ.).



ამ გამოკვლევაში წარმოჩენილია ის ძირითადი საფუძვლები, რომლებსაც ახალი დროის ქართული აზროვნების შესახებ შემდგომი კვლევები უნდა დაეფუძნოს. პროფ. ირემადის აზრით: „ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაზე მსჯელობისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ორ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ კატეგორიას: რეცეფციასა (ასახვას) და ტრანსფორმაციას (გარდასახვას)“. სწორედ ამ კატეგორიათა მეშვეობით ხდება შესაძლებელი ახალი დროის ქართული აზროვნების სპეციფიკის, მისი საკუთრივი ხასიათის გაგება და აღქმა.

„ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში“ (კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი: პროფ. თენგიზ ირემადე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016 წ.) ამ სერიის მეორე ტომია. მასში ცხადად და ნათლადაა წარმოჩენილი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ხასიათი, საკითხთა ის სპექტრი, რომელიც ქართველ მოაზროვნეთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა. წიგნში მოცემული სამეცნიერო გამოკვლევები ასახავს შუა საუკუნეების ქართული ინტელექტუალური სივრცის ძირითად გამოწვევებს, გარე გავლენებსა და საკუთრივ ქართული ფილოსოფიის თავისებურებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის კვლევითი არქივის დირექტორი, პროფ. თენგიზ ირემადე გახლავთ. კრებული სწორედ მისი სტატიით იწყება. შეიძლება ითქვას, რომ ამ სტატიაში განვითარებული მოსაზრებები მთელი წიგნის ხასიათს განსაზღვრავს. თეოლოგიისა და ფილოსოფიის მიმართების რამდენიმე მოდელი, რომლებიც XI-XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში ანონიმი ავტორის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ნააზრევში გვხვდება, თითქოს იმ უნივერსალურ ფორმულას წარმოადგენს, რომელიც ზოგადად ქრისტიანული ფილოსოფიის ხასიათის, ტიპის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ.

კრებულში ვხვდებით ქართველი მოაზროვნეების ბიზანტიურ კონტექსტში განხილვასაც, მაგალითად, ამ კუთხით არის განხილული იოანე პეტრიწისა და ნიკოლოზ მეთონელის ნააზრევი. აქვეა კვლევები ადრეული შუა საუკუნეების დიდი ქრისტიანი ავტორის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შესახებ, რომელიც ქართულ აზროვნებას მე-20 საუკუნეში შექმნილი თეორიების მეშვეობით სამუდამოდ დაუკავშირდა. კრებულში ფსევდო-დიონისეს ვინაობის შესახებ ახალი თეორი-

ებიც არის განხილული. ასევე, ნაჩვენებია მისი ნააზრევის გავლენა, ასახვა და გარდასახვა შუა საუკუნეების დიდ ქართველ მოაზროვნეებთან (ეფრემ მცირე, შოთა რუსთაველი) და წარმოჩენილია, რომ ეფრემ მცირის მიერ არეოპაგიტული კორპუსის თარგმნა მიზნად ისახავდა ფილოსოფიის ჩაყენებას ეკლესიის სამსახურში.

კრებულში ნათლადაა ასახული შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიურ-პოლიტიკური პარადიგმები, პოლიტიკისა და რელიგიის მიმართება, საეკლესიო სამართლის თავისებურებანი, განხილულია დავით აღმაშენებლის, გიორგი ჭყონდიდელის, არსენ იყალთოელის მოღვაწეობა, წარმოჩენილია რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ როლი ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ცხოვრებაში, ასევე საინტერესოდაა წარმოდგენილი გელათი - როგორც ქართული აზროვნების საკვანძო ტოპოსი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კრებულში წარმოდგენილია გერმანელი მეცნიერის, პროფ. უდო რაინჰოლდ იეკის გამოკვლევა, რომელშიც შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია და თეოლოგია მე-19 საუკუნის ევროპული ფილოსოფიის კონტექსტშია განხილული.

ორივე კრებული წამყვან ქართველ და უცხოელ მეცნიერებს აერთიანებს. მათ შორის არიან: თენგიზ ირემადე, მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), გურამ თევზაძე, ჰელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, მაგდა მჭედლიძე, მიხეილ გოგატიშვილი, უდო რაინჰოლდ იეკი, გიორგი ხუროშვილი, გიორგი თავაძე, მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე სამეცნიერო კრებული გახლავთ ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ახლებური ხედვა და სრულიად ახალი სიტყვა მის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, გარემოებათა გამო ქართველი ფილოსოფოსები თითქმის დაინწყებას მიეცნენ. სწორედ ამგვარ მოაზროვნეთა რიცხვს მიეკუთვნება იონა ხელაშვილი (1778-1837 წწ.), რომლის პიროვნება, ცხოვრება და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური მოღვაწეობა გამოხატულებათა ახალი დროის ქართული კულტურისა და სააზროვნო სივრცისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და, ამავდროულად, საქართველოს ტრაგიკული ბედისა. ეს თვალსაჩინოდ აისახა კიდევ ქართულ ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში.

ამ დიდებული ქართველი მოღვაწის, ფილოსოფოსისა და თეოლოგის ნააზრევის კვლევას ეძღვნება ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მისი

მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მეუფე გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) მონოგრაფია „იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია“ (თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2017 წ.). ეს წიგნი, ფაქტობრივად, თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში „აცოცხლებს“ ამ უმნიშვნელოვანესი მოაზროვნის შემოქმედებას. მღვდელმონაზონი იონა ხელაშვილი, ერთ დროს, „რეაქციონერ მოაზროვნედ“ შერაცხული ქართველი ქრისტიანი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, ამ მონოგრაფიის მეშვეობით ქართულ ფილოსოფიასა და თეოლოგიაში ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს.

მეუფე გრიგოლის მონოგრაფიაში, გარდა საკუთრივ ფილოსოფიური კონცეფციისა, მოცემულია ის ცნობები, რომლებიც ეხება იონა ხელაშვილის შემოქმედების ისტორიას, იმას, თუ რა გზა გაიარა იონა ხელაშვილის ნააზრევმა და რამდენად არის დაინტერესებულ პირთათვის მისი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა ორიგინალი ხელნაწერების სახით ხელმისაწვდომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩატარებული ძიებების საფუძველზე მონოგრაფიის ავტორი იმ ფასდაუდებელი საუნჯის შესახებ გვანჯდის ინფორმაციას, რომელიც დღეს ქართული ფილოსოფიით დაინტერესებულ პირთათვის ახალი დროის ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამყაროში შესასვლელ კარიბჭეს წარმოადგენს. აქვე მიმოხილულია ყველა ის წყარო, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს შეუძლია გაეცნოს იონა ხელაშვილის ცხოვრებასა და სასულიერო მოღვაწეობას.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი უნიკალურ ცნობებს გვანჯდის ამ ნაკლებად შესწავლილი ავტორის ბიოგრაფიის შესახებ. მღვდელმონაზონ იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ანალიზი საინტერესო და მნიშვნელოვანია იმითაც, რომ უტყუარ ცნობებს იძლევა ახალი დროის ქართული სინამდვილის (პოლიტიკა, კულტურა, სასულიერო

რო სივრცე) შესახებ, იმ სინამდვილისა, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა გამო მეტად რთულ პერიოდს წარმოადგენდა ჩვენი სამშობლოსათვის.

მონოგრაფიის მესამე ნაწილში განხილულია მღვდელმონაზონ იონა ხელაშვილის ფილოსოფიური კონცეფცია. აქ წარმოჩენილია მისი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ნააზრევი - ქრისტიანული ფილოსოფიის უაღრესად საინტერესო კონცეფცია. ქრისტიანული მეტაფიზიკის ეს მოდელი (ცოდნისა და რწმენის თანაარსებობას რომ ეფუძნება) წარმოადგენს ქართული ფილოსოფიის განძს. ამასთან, მონოგრაფიაში ასახულია იონა ხელაშვილის მიერ დასავლელ მოაზროვნეთა (ლაიბნიცისა და კლარკის) ნააზრევის განხილვაც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის მოღვაწეობას ქართული ფილოსოფიის ისტორიაში. ქრისტიანული მეტაფიზიკის, ქრისტიანული ანთროპოლოგიის, წმინდა წერილის კომენტარების და სხვ. საკითხთა განხილვა თვალნათლივ წარმოაჩენს იონა ხელაშვილის დიდ ღვაწლს.

მიტროპოლიტ გრიგოლის მონოგრაფია „იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია“ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქართული ფილოსოფიის მკვლევართა ბიბლიოთეკაში. ეს გამოკვლევა თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს იონა ხელაშვილს - ამაგდარ სასულიერო პირს, ახალი დროის ქართული ფილოსოფიის შესანიშნავ წარმომადგენელს, რომელმაც, თავის მხრივ, დიდი ამაგი დასდო ქრისტიანული ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების განვითარებას საქართველოში.

ნიკოლოზ კოპალეიშვილი

ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრი,
ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივის
ასისტენტი-მკვლევარი